

ჯიშის აღწერილობა
დანახარული

კულტურა: ვაზი



ჯიშის ადგილობრივი სახელწოდება: დანახარული

ტაქსონის ბოტანიკური სახელწოდება: *Vitis vinifera* L. ssp.

სელექციონერი: ადგილობრივი

გავრცელების არეალი: ძირითადად გავრცელებულია ქართლში

გამოყენების სახე: იძლევა მაღალხარისხოვან წითელ ღვინოს



ძირითადი ამპელოგრაფიული მახასიათებლები:

ახალგაზრდა ყლორტი

2	ზრდის კონუსის გახსნილობა	(5) გახსნილი
4	ზრდის კონუსზე განრთხმული შებუსვის ანტოციანური შეფერილობა	(1)არ არის
3	ზრდის კონუსზე განრთხმული შებუსვის სიხშირე	(1)ძალიან სუსტი

ყლორტი

9	დგომა (ახვევამდე)	(7) ნახევრად-ჩამოშვებული
10	მუხლთაშორისების შეფერვა ზურგის მხარეს	(3) წითელი
11	მუხლთაშორისების შეფერვა მუცლის მხარეს	(1)მწვანე

ახალგაზრდა ფოთოლი

6	ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა	(4) მოწითალო-სპილენძისფერი
7	ფოთლის ქვედა მხარეს მთავარ ძარღვებს შორის განრთხმული შებუსვის სიხშირე	(1)არ არის ან ძალიან სუსტი

ზრდასრული ფოთოლი

18	ფირფიტის ფორმა	(2) სოლისებური
20	ნაკვეთების რაოდენობა	(3) ხუთი
19	ფირფიტის ზედა მხარის ბურთულოვნება	(5)საშუალო
26	კბილების ფორმა	(3) ორივე გვერდი ამოზნექილი
23	ყუნწის ამონაკვეთის გახსნილობა. გადაფარვის ხარისხი	(3) ღია
28	ფოთლის ქვედა მხარეს მთავარ ძარღვებს შორის განრთხმული ბუსუსების სიხშირე	(3) სუსტი

რქა

44	ძირითადი ფერი	(1) ყვითელი
----	---------------	-------------

რეპროდუქტიული ორგანო

16	ყვავილი	(3) სრულად განვითარებული მტვრიანები და სრულად განვითარებული გინეცეუმი
----	---------	---

მტევანი

32	მტევნის ზომა (ყუნწის გარეშე)	(3) მოკლე
33	სიკუმსე	(7) კუმსი
34	ყუნწის სიგრძე	(5) საშუალო

მარცვალი

36	ფორმა (ფოტოები)	(3) მოკლე ელიფსური
37	მარცვლის კანის შეფერილობა	(9) მოლურჯო-შავი
40	რბილობის ანტოციანური შეფერილობა	(1) არ არის
41	რბილობის სიმკვრივე	(2) საშუალო
42	განსაკუთრებული გემო	(1) არ არის
43	წიპწების არსებობა	(3) სრულფასოვანი

დამატებითი მახასიათებლები OIV-ის მიხედვით:

OIV 016	თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა	(1)ორი ან ნაკლები
OIV 070	ფოთლის ფირფიტის ზედა მხარეზე მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა	(4) მეორე განტოტვამდე
OIV 072	ფოთლის ფირფიტის გოფრირება	(3) სუსტი
OIV 074	ფოთლის ფირფიტის პროფილი განივ ჭრილში	(3) ზემოთ აწეული კიდეებით
OIV 080	ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის ფუძის ფორმა	(3)V-ს ფორმის
OIV 081-1	ფოთლის ყუნწის ამონაკვეთზე კბილების არსებობა	(9) არის
OIV 081-2	ფოთლის ყუნწის ამონაკვეთის ძარღვით შემოსაზღვრულობა	(1) არ არის
OIV 083-2	ფოთლის ზედა ამონაკვეთზე კბილების არსებობა	(9) არის
OIV 086	ფოთლის ქვედა მხარეს მთავარ ძარღვებზე გართხმული ბუსუსების სიხშირე	(1)არ არის
OIV 087	ფოთლის ქვედა მხარეს მთავარ ძარღვებზე სწორმდგომი ბუსუსების სიხშირე	(1) არ არის ან ძალიან სუსტი
OIV 203	მტევნის სიგანე	(5) საშუალო
OIV 208	მტევნის ფორმა	(3) ძაბრისებური
OIV 209	ფრთების რაოდენობა	(2) ერთი-ორი
OIV 220	მარცვლის სიგრძე	(3) მოკლე
OIV 221	მარცვლის სიგანე	(3) მცირე
OIV 351	ყლორტის ზრდის სიძლიერე	(7) ძლიერი
OIV 502	ერთი მტევნის წონა	(3) მცირე
OIV 503	ერთი მარცვლის წონა	(3) მცირე
OIV 504	მოსავალი კგ/მ ²	(5) საშუალო